



სტრატეგიული გეგმა

2014-2017

2013 თბილისი

სარჩევი

შესავალი.....	3
წინაპირობა - ორგანიზაციის შესახებ.....	4
ორგანიზაციული თვითშეფასება და ფაქტორული ანალიზი	5
ორგანიზაციის ხედვა და მისია	6
ხედვა	6
მისია	7
ოთხი როლი, რომელშიც „საქართველოს ბავშვები“ მოგვევლინება საკუთარი მიზნების მისაღწევად:	7
სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები	7
სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.....	8
პრინციპები.....	9
შიდა ორგანიზაციული პრიორიტეტი	10
სტრატეგიული მიმართულებები და მათი განმარტება.....	10
1. კლინიკური ფსიქოლოგია	11
2. სასამართლო და იურიდიული ფსიქოლოგია	13
3. განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია.....	15
4. ბავშვთა კეთილდღეობა.....	17
5. შიდა ორგანიზაციული პრიორიტეტები	19
სტრატეგიული გეგმის განხორციელების გზები დაზოგადი მიდგომა	21
ა) გეგმის მართვა და ადმინისტრირება.....	21
ბ) გეგმის ფინანსური უზრუნველყოფა	22
გ) გეგმის განხორციელების მონიტორინგი.....	22

შესავალი

ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვებმა“ აღიარება და დაფასება მოიპოვა მას შემდეგ რაც, აქტიურად ჩაერთო სახელმწიფოს მიერ ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის განხორციელებაში და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესსა და შესაბამისი ალტერნატიული მომსახურებების განვითარებაში. მას შემდეგ უკვე რამოდენიმე წელია, რაც ორგანიზაცია აგრძელებს თანამშრომლობას სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურასთან და უზრუნველყოფს ფართო სპექტრის პროფესიულ მომსახურებას.

თავისი მოღვაწეობის მანძილზე ორგანიზაციამ მდიდარი გამოცდილება დააგროვა შემდეგი მიმართულებით: კლინიკური ფსიქოლოგიური მომსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის; სხვადასხვა ქცევითი და ემოციური სირთულეების, მათ შორის ძალადობისა და ტრავმის მსხვერპლი ბავშვებისა და მათი ოჯახების კონსულტირება; ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების პროფესიული გადამზადება; და ბავშვთა უფლებების ადვოკატირება სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესების მიზნით.

ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა ჩვილ ბავშვთა სახლების სახელმწიფო რეზიდენტული ზრუნვის ალტერნატიულ მომსახურებად გარდაქმნა. ამ მიზნით, ორგანიზაციამ განახორციელა რამოდენიმე პროექტი, შექმნა მომსახურებები, აწარმოა ადვოკატირება, რითაც ხელი შეეწყო მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლის დახურვასა და თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში ბავშვების რაოდენობის შემცირებას. ასევე, ორგანიზაციის დახმარებით მოხდა სკოლა პანსიონებისა და დიდი ზომის ბავშვთა სახლებიდან ბავშვების გადაყვანა ბიოლოგიურ, მიმღებ ოჯახებში და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში.

„საქართველოს ბავშვები“ ორიენტირებულია მუდმივ განვითარებასა და დახვეწაზე და პროგრესიც სახეზეა. წლების განმავლობაში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება, საჭიროებს სისტემატიზაციასა და ორგანიზაციის მიერ დასახული ამოცანების გეგმაზომიერ განხორციელებას, რომელიც აისახება ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტში.

ორგანიზაციამ თავისი მოღვაწეობის მანძილზე პირველად შეიმუშავა საშუალო ვადის სტრატეგიული განითარების გეგმის დოკუმენტი, რომელიც მისი შემდგომი განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. დოკუმენტში წარმოდგენილია ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვების“ ხედვა, მისია, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.

სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტის შემუშავება მოხდა ორგანიზაციის სურვილისა და თანხმობის საფუძველზე, „ღია საზოგადოება-

საქართველოს“ (სოროსის ფონდი) მხარდაჭერით, რომელმაც „საქართველოს ბავშვები“ უზრუნველყო საკონსულტაციო მომსახურებით.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში, ჩამოყალიბდა სტრატეგიული გეგმარების გუნდი, რომელიც ორგანიზაციის მმართველი რგოლის თანამშრომლებითა და ორგანიზაციული განვითარების ექსპერტებით დაკომპლექტდა. გეგმის შემუშავების ფარგლებში, ჩატარდა შეხვედრები და ინტერვიუები რიგი პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მოხდა შესაბამისი მასალის შესწავლა და გარემოს ანალიზი. ასევე, ჩატარდა სტრატეგიული ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, სადაც განისაზღვრა ორგანიზაციის სუსტი და ძლიერი მხარეები და გაკეთდა გარემოში არსებული შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი. ჩატარებული სამუშაოების შეჯერების შედეგად, სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ორგანიზაციის ხედვა და მისია; განსაზღვრა ორგანიზაციის საშუალო ვადიანი სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები.

წინაპირობა - ორგანიზაციის შესახებ

ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვების“ შექმნას საფუძველი ჯერ კიდევ 90-იან წლებში ჩაეყარა, როდესაც საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრნენ ახალ ზელანდიელი ფსიქოლოგები (დოქტორები - ბარი პარსონსონი და ჯეინ-მერი კასტელფრანკ ალენი). ისინი მოწმენი გახდნენ მოსახლეობის მაღალი მოწყვლადობის, განსაკუთრებით ბავშვების. ამასთანავე, აღმოაჩინეს რიგი ხარვეზები ფსიქოლოგიის, როგორც პროფესიის განვითარებაში. მათი განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენდა იმ დროისათვის საქართველოში არსებული ბავშვთა სახლები. გაეცნენ რა არსებულ ბავშვთა სახლებს, განსაკუთრებით კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჩვილებისა და ბავშვების სავალალო მდგომარეობას, გაუჩნდათ დიდი სურვილი მათი შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებოდნენ საქართველოს. შედეგად, პირველ ეტაპზე განხორციელდა ზოგადად ფსიქოლოგიის პროფესიის გაძლიერება, სტუდენტთა ადგილობრივად და უცხოეთში სწავლების გზით. ამავე დროს, მათ ახალგაზრდა ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯი - საქართველოს“-თან ერთად კასპის ბავშვთა სახლში, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების გამოყვანის პროცესი წამოიწყო. ამან საფუძველი დაუდო კასპის ბავშვთა სახლის დახურვასა და ხელი შეუწყო დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ინიცირებას.

2004 წელს ორგანიზაცია დაკომპლექტდა დამფუძნებლების მიერ გადამზადებული მაღალკვალიფიციური ფსიქოლოგიური კადრით, რომლებიც 2005 წელს მთელი ძალებით ჩაერთნენ ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სახელმწიფო რეფორმის განხორციელებაში.

2006 წელს კი ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვები“ დარეგისტრირდა როგორც ა.ი.პ. (არაკომერციული იურიდიული პირი), რითიც საფუძველი ჩაეყარა დამფუძნებლების ჩანაფიქრის განხორციელებას: *მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალი ფსიქოლოგები ემსახურებიან ბავშვების ინტერესების დაცვას საქართველოში.*

ორგანიზაციული თვითშეფასება და ფაქტორული ანალიზი

სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა „საქართველოს ბავშვების“ ძლიერი და სუსტი მხარეების და გარემოში არსებული შესაძლებლობებისა და გამოწვევების ანალიზი (SWOC), რის შედეგადაც შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა:

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
<ul style="list-style-type: none"> • მაღალი პროფესიონალიზმი • ჭეშმარიტი ინტერესი ბავშვთა კეთილდღეობაში • ორგანიზაციის მიმართ ლოიალობა თანამშრომლებში • მდგრადი გუნდი • გუნდური მუშაობა • ორგანიზაციის მრავალფეროვანი გამოცდილება • მოქნილობა და მაღალი დონის პასუხისმგებლობა თანამშრომლებში • საერთაშორისო ცოდნისა და გამოცდილების ხელმისაწვდომობა • სამეცნიერო-აკადემიური გამოცდილება თანამშრომლებში • კვლევების გამოცდილება • ავტორიტეტი და ნდობა საზოგადოებაში • მატერიალურ ტექნიკური ბაზა 	<ul style="list-style-type: none"> ▪ ბიზნესს (ორგანიზაციული პროცესების)ქაოტურობა ▪ შიდა ინფორმაციული ნაკადების არასწორი მართვა ▪ სამუშაო აღწერილობების არ ქონა ▪ პროცედურებისა და პოლიტიკის ნაკლებობა ორგანიზაციული მართვის კუთხით ▪ ფინანსური რესურსების მოზიდვის ცოდნის ნაკლებობა ▪ ინიციატივის ნაკლებობა ▪ ადამიანური რესურსების არაეფექტური გამოყენება ▪ მოტივაციის აწევის მექანიზმის არ ქონა ▪ გარე კომუნიკაციის სისუსტე ▪ სიახლისადმი რეზისტენტულობა ▪ გამოკვეთილი ლიდერების ნაკლებობა
შესაძლებლობები	გამოწვევები (საფრთხეები)
<ul style="list-style-type: none"> • ბაზარზე კონკურენციის ნაკლებობა • მომსახურებაზე მოთხოვნის გაჩენის შესაძლებლობა • მომსახურებათა სპექტრის გაფართოების/დივერსიფიკაციის შესაძლებლობა • მომსახურებათა ექსპორტის 	<ul style="list-style-type: none"> ▪ ფინანსური სტაბილურობა ▪ პოლიტიკური ცვლილებები ▪ ადამიანური რესურსის როტაცია ▪ საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე ▪ კონკურენციის ზრდა

<p>შესაძლებლობა</p> <ul style="list-style-type: none"> • კარგი და ეფექტური კავშირები პროფესიულ სივრცეში • პროფესიული განვითარების შესაძლებლობა • მედია სივრცის ინტერესი • აუთვისებელი სერვისების/მოდულების განვითარების საჭიროება • სანდო პარტნიორები • „აუთვისებელი სფეროების ათვისება“ / მომსახურების გაწევა ფართო სპექტრის მომხმარებლებისთვის • პრაქტიკული ბაზის შექმნა უნივერსიტეტებისათვის • აკადემიურ/სამეცნიერო საქმიანობის გაღრმავება 	<ul style="list-style-type: none"> ▪ ხარისხის კონტროლის მექანიზმის არ არსებობა ▪ არასაკმარისი „წონა“ დონორების თვალში ▪ იმიჯი პარტნიორებთან, რომ ორგანიზაციის შესაძლებლობები შემოიფარგლება მხოლოდ შშმ ბავშვებთან, მათ ბიოლოგიურ ან მინდობით მშობლებთან მუშაობის გამოცდილებით
---	---

ორგანიზაციის ხედვა და მისია

მისია არის განაცხადი ორგანიზაციის დანიშნულების შესახებ. იგი მიზანზეა ორიენტირებული და, როგორც წესი, ამაღლებულად ჟღერს. მისიიდან გამომდინარე, ორგანიზაცია იღწვის დეკლარირებული, ინსტიტუციური მიზნების განხორციელებისკენ.

ორგანიზაციის ხედვა არის ის წარმატებული მომავალი, რომელთან მიახლოებასაც ორგანიზაცია მისიის განხორციელებით ცდილობს.

„საქართველოს ბავშვების“ ხედვასა და მისიაზე მუშაობა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ერთიანი ძალისხმევით წარიმართა. მასში ასახულია ორგანიზაციის თანამშრომლების, ხელმძღვანელების, დამფუძნებლებისა და ასევე, სხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები.

ხედვა

ოჯახი, საზოგადოება და სახელმწიფო შეთანხმებულად მოქმედებს და ორიენტირებულია ბავშვებისა და მოზარდების ინდივიდუალურ საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა და პიროვნული განვითარება.

მისია

„საქართველოს ბავშვები“ არის პროფესიონალ ფსიქოლოგთა ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას, მათ სოციალურ ადაპტაციასა და განვითარებას, უზრუნველყოფს რა შეფასებას და კონსულტირებას, ავითარებს უნარებს და წვრთნის მათ, მათ მშობლებსა და პროფესიონალებს, ასევე, აწარმოებს ექსპერტულ საქმიანობას და იღწვის სისტემური ცვლილებებისთვის.

ოთხი როლი, რომელშიც „საქართველოს ბავშვები“ მოგვევლინება საკუთარი მიზნების მისაღწევად:

როლი 1. ცვლილებების მომტანი საზოგადოებისთვის. ღირებულებათა და კულტურის დამამკვიდრებელი, საუკეთესო პრაქტიკის დემონსტრაციის გზით.

როლი 2. განმანათლებელი. მომხმარებელთა და ფართო საზოგადოების განმანათლებელი, კეთილდღეობის და დაცულობის ხარისხის ზრდისთვის.

როლი 3. ადვოკატი. უფლებადამცველი და მოწყვლადი ჯგუფების ინტერესთა გამტარებელი.

როლი 4. კონსულტანტი. მრჩეველი სახელმწიფო სტრუქტურებისა და კოლეგა ორგანიზაციებისათვის.

სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები

„საქართველოს ბავშვები“ საშუალო ვადიანი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში, კონცენტრაციას გააკეთებს ოთხ სტრატეგიულ მიმართულებაზე, რომელთა ეფექტური განხორციელებისათვის, მან გამოკვეთა შიდა ორგანიზაციული პრიორიტეტები და სახელმძღვანელო პრინციპები.

კლინიკური ფსიქოლოგია

ბავშვები არიან ადაპტირებულნი - ეგუებიან გარემოს, აღწევენ პიროვნულ განვითარებას, რადგან მათი ინტელექტუალური, ემოციური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ქცევითი საჭიროებები გაგებული და დაკმაყოფილებულია;

სასამართლო და იურიდიული ფსიქოლოგია

ბავშვთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილება ან საქმის სამართლებრივი მსვლელობა ეფუძნება პროფესიულ ფსიქოლოგიურ აზრს (დასკვნას);

განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია

ბაღში და სკოლაში ბავშვები ადაპტირებული, ლაღები და კრეატიულები არიან, უმკლავდებიან ცვალებად გარემოს, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამები პასუხობს მათ ასაკსა და უნარებს, ითვალისწინებს ინდივიდუალურ საჭიროებებს;

ბავშვთა კეთილდღეობა

სახელმწიფო ზრუნვის საჭიროების მქონე ბავშვები ოჯახთან მიახლოებულ ხარისხიან გარემოში იმყოფებიან და მათთვის არსებობს მომსახურებათა მრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობა.

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

	I	II	III	IV
მიმართულება	კლინიკური ფსიქოლოგია	სასამართლო და იურიდიული ფსიქოლოგია	განათლების და განვითარების ფსიქოლოგია	ბავშვთა კეთილდღეობა
მიზანი	ბავშვები არიან ადაპტირებული - ეგუებიან გარემოს, აღწევენ პიროვნულ განვითარებას, რადგან მათი ინტელექტუალური, ემოციური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ქცევითი საჭიროებები გაგებულია და დაკმაყოფილებულია	ბავშვთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებას ან საქმის სამართლებრივი მსვლელობა ეფუძნება პროფესიულ ფსიქოლოგიურ აზრს (დასკვნას)	ბაღში და სკოლაში ბავშვები კარგად არიან ადაპტირებული, ლაღები და კრეატიულები არიან, უმკლავდებიან ცვალებად გარემოს, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამები პასუხობს მათ ასაკსა და უნარებს, ითვალისწინებს ინდივიდუალურ საჭიროებებს	სახელმწიფო ზრუნვის საჭიროების მქონე ბავშვები ოჯახთან მიახლოებულ ხარისხიან გარემოში იმყოფებიან და მათთვის არსებობს მომსახურებათა მრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობა

ამოცანა	1.1.მომართვია ნობის გაზრდა	2.1. მომართვიანობ ის შექმნა იუსტიციისა და სასამართლო სისტემებიდან	3.1. კერძო და სახელმწიფო ბაღების; სკოლების მოზიდვა და მომსახურება	4.1. ჯანდაცვის სამინისტროსთან პარტნიორობით პოლიტიკის განვითარებაში მონაწილეობა
	1.2.მომხმარებ ელთა წრის გაზრდა	2.2. მომართვიანობ ის უზრუნველყოფ ა ბავშვთა დაცვის სისტემიდან	3.2. განათლების სამინისტროსთან პოლიტიკის, კურიკულუმისა და სტანდარტების საკითხებზე მუშაობა	4.2. სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემაში მომსახურების გაწევა
	1.3.მაღალი ხარისხის მომსახურე ბის მიწოდება	2.3. კვალიფიკაციის ზრდა სასამართლო და იურიდიულ ფსიქოლოგიაში	3.3. არაფორმალური განათლების მომსახურებათა გაძლიერება	4.3. მოდელის კონცეფციის შექმნა და განვითარება

პრინციპები

არადისკრიმინაციული მიდგომა - მომსახურებას ღებულობს, ყველა ვინც მას საჭიროებს მიუხედავად მისი სქესისა, ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური მიკუთვნებულობისა.

პიროვნებაზე ცენტრირებული მიდგომა - ინდივიდუალური საჭიროებები გათვალისწინებულია მომსახურების გაწევისას

პროფესიონალიზმი - ზრუნვა მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე, ხარისხის და მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად

გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება - ინფორმაცია საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, მათი ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდის მიზნით

შიდა ორგანიზაციული პრიორიტეტი

პრიორიტეტი	ინსტიტუციური განვითარება და მდგრადობა		
მიზანი	1. მართვის ეფექტური მექანიზმი	2. ფინანსური მდგრადობა	3. ადამიანური რესურსის განვითარება
ამოცანები	1.1. მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა	2.1. ფინანსური ბაზის გაძლიერება	3.1. კარიერისა და პროფესიონალიზმის განვითარების ხელშეწყობა
	1.2. მომსახურებათა მართვის, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმის დანერგვა	2.2. ფინანსების მართვის მექანიზმების დანერგვა	3.2. მექანიზმების შემუშავება, რომელიც სტრატეგიის განხორციელების დროს ფუნქციურ თანამშრომლობას შეუწყობს ხელს
	1.3. მარკეტინგული და საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენება გავლენისა და დაფარვის გასაძლიერებლად	2.3. საქმიანობის საფასურის დადგენა, ასახვა და მისი გენერირება	

სტრატეგიული მიმართულებები და მათი განმარტება

ორგანიზაციის ხედვა და მისია ადასტურებს „საქართველოს ბავშვების“ სწრაფვას ბავშვებისათვის მაღალი ხარისხის პროფესიული სერვისების განვითარებისაკენ და ეხმარება მათ იყვნენ კარგად ადაპტირებული და ეფექტურად გაუმკლავდნენ გარემოში არსებულ გამოწვევებს.

ამავდროულად, „საქართველოს ბავშვები“ აღიარებს რა საკუთარ პოტენციალს, მზად არის ფართო სპექტრის მომსახურება შესთავაზოს მომხმარებელს, რითიც მიუახლოვდება არსებულ ხედვას და გააძლიერებს ორგანიზაციის პოტენციალს სამომავლო მიღწევების გზაზე.

ორგანიზაციულმა თვითშეფასებმა და ფაქტორების ანალიზმა ნათლად გამოავლინა ბაზარზე არსებული საჭიროებები და შესაძლებლობები, კონკრეტულად კი ფსიქოლოგიური მომსახურების სფერო და ადგილი ჩვენს სივრცეში. შესაბამისად, „საქართველოს ბავშვები“ მოცემული სტრატეგიული მიზნებით უპასუხებს ამ

საჭიროებებს, რითიც გააძლიერებს გარემოს და დაიმკვიდრებს თავს. ამასთან იგი აღიარებს საკუთარ სუსტ მხარეებს და თითოეული სტრატეგიული მიმართულების ქვეშ აღმოფხვრის მათ.

1. კლინიკური ფსიქოლოგია

კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულება სტრატეგიის ფარგლებში გულისხმობს მაღალი ხარისხის პროფესიული მომსახურების მიწოდებას მომხმარებლისათვის, რაც დაეხმარება ბავშვებს გარემოსთან ადაპტაციაში და პიროვნულ განვითარებაში, რადგან მათი ინტელექტუალური, ემოციური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ქცევითი საჭიროებები გაგებული და დაკმაყოფილებული იქნება პროფესიონალური მიდგომისა და მაღალი ეთიკის ხარჯზე.

მსგავსი შედეგის მისაღწევად ორგანიზაციამ გამოკვეთა სამი ამოცანა და რიგი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ შესრულებას:

- მომართვიანობის გაზრდა
- მომხმარებელთა წრის გაფართოება
- მაღალი ხარისხით მომსახურების მიწოდება

1.1 მომართვიანობის გაზრდა

ამ ამოცანის შესრულება, გაზრდის ბენეფიციარების რაოდენობას, რაც გააუმჯობესებს ორგანიზაციის შემოსავლიანობას და ამასთანავე გაამყარებს პრაქტიკულ ცოდნას. ამავდროულად, უფრო მეტი ბავშვისთვის გახდება ხელმისაწვდომი მათთვის საჭირო მომსახურება.

მოცემული ამოცანის შესასრულებლად, ორგანიზაცია განახორციელებს ბაზრის კვლევას, რათა დაადგინოს თუ რა, ყველაზე მწვავე საჭიროებები აქვთ ბავშვებს. ასევე, რა შესაძლებლობები და წვდომა აქვთ მათ, მათ შობლებს, ან მეურვეებს და მათთან მომუშავე პროფესიონალებს, საჭირო მომსახურებაზე. ასევე, განისაზღვრება მექანიზმები, რომელთა მეშვეობით ეს ადამიანები ბავშვის ინტერესიდან გამომდინარე შეძლებენ მოცემულ მომსახურებასთან დაკავშირებას.

ამავდროულად, ორგანიზაცია კვლევაზე დაყრდნობით, შეძლებს მოქნილი მომსახურების პაკეტის შემუშავებას, რომელიც მოერგება ყველა ინდივიდუალურ საჭიროებას და განსაზღვრავს შესაბამის საფასო პოლიტიკას, რომელიც შექმნის ბალანსს პროფესიული მომსახურების ღირებულებისა და საჭიროების მქონე ბავშვის დახმარების შესაძლებლობას შორის.

მოცემულ ღონისძიებათა შესასრულებლად და საბოლოო შედეგის მისაღებად, ორგანიზაცია გამოიყენებს მარკეტინგულ სტრატეგიას, რათა გაზარდოს როგორც მოსახლეობის ზოგადი ცოდნა საკითხთან დაკავშირებით, ასევე, მომსახურებაზე წვდომა.

1.2 მომხმარებელთა წრის გაფართოება

მოცემული ამოცანის შესრულების შემთხვევაში, პროფესიული ფსიქოლოგიური დახმარებით ისარგებლებს ადამიანთა ის ჯგუფი, რომლისთვისაც უცნობი იყო ამ ტიპის დახმარება და მისი ეფექტურობა. ორგანიზაცია მოიზიდავს კლიენტების ახალ ჯგუფს, რომელთა მომსახურების გაწევაც შექმნის პროფესიული განვითარების ახალ ბაზას. ორგანიზაცია გეგმავს ჯგუფური და ინდივიდუალური თერაპიული მიდგომების განვითარებას შემდეგი ჯგუფებისთვის: მომავალი მშობლები (ელოდებიან ან გეგმავენ ბავშვის აყვანას); მარტოხელა მშობლები; მშობლები, რომლებსაც შეუზღუდეს მშობლის უფლება და სურთ ის დაიბრუნონ და იზრუნონ თავიანთ შვილზე; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლები, რომელთა მზაობა მშობლობისათვის ვერ აკმაყოფილებს მათი შვილის საჭიროებებს და რომლებსაც სურთ კარგად იზრუნონ საკუთარ შვილზე.

„საქართველოს ბავშვები“ გეგმავს მომზადებას ამ მშობლების ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ჩატარდება კვლევა, რომელიც განამტკიცებს პროფესიულ მიდგომებს და მომსახურების ტიპებს. ამავდროულად, ორგანიზაცია განსაზღვრავს თუ, როგორ მოიზიდოს კლიენტურა, რომელიც ეძებს მსგავს მომსახურებას, ან ინტერესი აამაღლოს იმ ჯგუფებში, რომლისთვისაც ეს გზები არ არის ცნობილი.

1.3 მაღალი ხარისხით მომსახურების მიწოდება

ორგანიზაცია იღწვის, რათა თავი დაიმკვიდროს, როგორც მაღალი სანდოობის მქონე პროფესიონალთა ჯგუფი, როგორც მომსახურების მომხმარებელთა, ასევე პროფესიულ წრეებში. ამიტომაც, პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა სტრატეგიული ამოცანის განუყოფელი ნაწილია. ეფექტურობისა და მაღალი ხარისხის მისაღწევად ორგანიზაცია გეგმავს რიგ ღონისძიებას, რომელიც მიმართული იქნება მუდმივ პროფესიულ ზრდაზე. კერძოდ, ორგანიზაცია შეიმუშავებს ინსტიტუციურ მიდგომას ურთიერთზედამხედველობისა და მხარდაჭერის მიზნით, რაც გულისხმობს, რომ პროფესიონალები კოლეგიალურად განახორციელებენ ერთმანეთის სამუშაოზე ზედამხედველობას და ამას გააკეთებენ პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. ზედამხედველობის ეს ფორმა წინასწარ განსაზღვრული სტანდარტით განხორციელდება. უფრო მეტიც, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება გარე სუპერვიზიის მექანიზმის დანერგვა, რომელიც უკვე გულისხმობს, პროფესიულ ზედამხედველობას არა ორგანიზაციის შიდა თანამშრომლების მიერ, არამედ ზოგადად პროფესიულ წრეში არსებული სხვა პროფესიონალების მიმართ.

ასევე, ორგანიზაციის წევრები აცნობიერებენ, რა თავიანთი პროფესიის თავისებურებასა და ცვალებად, მუდმივ განვითარებაში მყოფ გარემოს, გეგმავენ საკუთარი განათლებისა და პროფესიონალიზმის უწყვეტ ზრდას. ამისათვის,

ორგანიზაციის წევრები იზრუნებენ პროფესიულ ტრენინგებში, კურსებში მონაწილეობაზე, საჭირო ლიტერატურისა და მასალების მოზიდვასა და გაცნობაზე და ორგანიზაციის გარე კოლეგებთან გამოცდილების გაზიარებაზე.

2. სასამართლო და იურიდიული ფსიქოლოგია

მოცემული სტრატეგიული მიმართულება ემსახურება, საქართველოში ფსიქოლოგთა მონაწილეობას სასამართლო და სამართლებრივ მსვლელობაში ბავშვის საუკეთესო ინტერესის გასატარებლად, რაც წარმოადგენს დასავლეთში მიღებულ პრაქტიკას, ხოლო საქართველოში მხოლოდ საფუძველს იყრის.

„საქართველოს ბავშვები“ გეგმავს ამ სფეროში დამკვიდრებას, როგორც ერთ-ერთი წამყვანი მომსახურების მიმწოდებელი, რაც ერთის მხრივ გააძლიერებს ორგანიზაციას და მეორეს მხრივ, შექმნის პროფესიული მომსახურების ახალ, ძლიერ სფეროს. მოცემული სტრატეგიული მიმართულების შესრულების შედეგად, ბავშვთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილება, ან საქმის სამართლებრივი მსვლელობა დაეფუძნება პროფესიულ ფსიქოლოგიურ აზრს (დასკვნას).

ამ მიზნის მისაღწევად ორგანიზაცია ისახავს სამი ამოცანისა და მათთან დაკავშირებული ღონისძიებების შესრულებას:

- მომართვიანობის შექმნა იუსტიციისა და სასამართლო სისტემებიდან
- მომართვიანობის უზრუნველყოფა ბავშვთა დაცვის სისტემიდან
- კვალიფიკაციის ზრდა სასამართლო და იურიდიულ ფსიქოლოგიაში.

2.1 მომართვიანობის შექმნა იუსტიციის და სასამართლო სისტემიდან

ცხადია, რომ მოცემული მიზნის მისაღწევად აუცილებელია განხილვაში მყოფ საქმეებში მონაწილეობის მიღება, რაც ერთეულ შემთხვევებში ორგანიზაციის პრაქტიკაში ხორციელდება. თუმცა, ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ფსიქოლოგის მონაწილეობა ბავშვის საქმის განხილვაში მიჩნეული სტანდარტი გახდეს. ამიტომ, ორგანიზაციამ უნდა გამართოს მომართვიანობის სისტემა, ხოლო ამ უკანასკნელის გასამართად საჭიროა განისაზღვროს სამართლის სისტემაში პასუხისმგებელი რგოლი და მსგავსი მიდგომის სისტემური ხასიათის მიცემის გზები. ამის შემდეგ, ორგანიზაცია შექმნის მომსახურებათა პაკეტებს, რომელიც დაეფუძნება დღეს სისტემაში არსებულ საჭიროებებს. ამას გარდა „საქართველოს ბავშვები“ მოცემული ამოცანის შესასრულებლად დაკავდება მომსახურების პოპულარიზაციით, რასაც განახორციელებს მოსამართლეთა ტრენინგის, საინფორმაციო შეხვედრების, მასალის შექმნისა და განხორციელების გზით.

2.2 მომართვიანობის უზრუნველყოფა ბავშვთა დაცვის სისტემიდან

„საქართველოს ბავშვებს“ მრავალწლიანი თანამშრომლობის გამოცდილება გააჩნია ბავშვთა დაცვის სისტემასთან. ეს თანამშრომლობა და არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასამართლო განხილვის საგანი ხშირად ამ სისტემიდან არის წარმოშობილი. ამიტომ, ორგანიზაცია გეგმავს საჭიროებათა კვლევას და დასაბუთებული მოსაზრებისა და მტკიცებულების წარდგენას სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის. რათა, შემთხვევები, რომელიც სწორედ ამ სისტემაში წარმოიშვება ფსიქოლოგის ჩართულობის გარეშე არ იქნას გადაცემული სასამართლო სისტემაში. ასევე, „საქართველოს ბავშვები“ გაავრცელებს ინფორმაციას ახალი მომსახურების შესახებ ბავშვთა უფლებების დამცველ სხვადასხვა ორგანიზაციაში, მოამზადებს შესაბამის საინფორმაციო მასალას და აქტიურად იმუშავებს ახალი პრაქტიკის დანერგვაზე.

2.3 კვალიფიკაციის ზრდა სასამართლო და იურიდიულ ფსიქოლოგიაში

სასამართლო და იურიდიული ფსიქოლოგია ახალი სფეროა, რომელშიც მოღვაწეობასაც აპირებს „საქართველოს ბავშვები“. ამ ფაქტის გათვალისწინებით და ზოგადი მაღალი პროფესიონალიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ორგანიზაცია უზრუნველყოფს ღონისძიებათა განხორციელებას, რომელიც ამ სფეროში პროფესიონალიზმის ზრდას ემსახურება. კერძოდ, იგეგმება პროფესიული ასოციაციის დაფუძნების ინიცირება, რომელიც იზრუნებს სფეროში პროფესიული სტანდარტის შექმნასა და განხორციელებაზე. ისევე, როგორც კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულების შემთხვევაში, სასამართლო და იურიდიული მიმართულების ფარგლებში იგეგმება პროფესიული ზედამხედველობის პრაქტიკის დანერგვა. ამ დარგში მომუშავე ორგანიზაციის თანამშრომლები იზრუნებენ საკუთარი ცოდნის გაღრმავებაზე წინასწარ განსაზღვრული სქემის მიხედვით, რაც მოიცავს პროფესიული მასალის, ლიტერატურის დამუშავებას; ტრენინგებში, საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობას; საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობასა და მათი გამოცდილების გაზიარებას.

საბოლოო ჯამში, ორგანიზაცია დანერგავს იმ პროფესიულ სტანდარტებს, რომლებიც ასოციაციის მიერ შემუშავდება. გარდა ამისა, ორგანიზაცია შეიმუშავებს და გამოიყენებს სასამართლო და იურიდიული ფსიქოლოგიის მომსახურების შეფასების მეთოდოლოგიას, რათა უზრუნველყოს საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა ქვეყანაში და თავი დაიმკვიდროს წამყვან მომსახურების მიმწოდებლად.

3. განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია

კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი სფერო, სადაც „საქართველოს ბავშვები“ საკუთარი მისიიდან და ხედვიდან გამომდინარე მოიაზრებს თავს, არის განათლების სფერო.

ამ მიმართულების ფარგლებში, „საქართველოს ბავშვების“ საქმიანობა მიზნად ისახავს ბაღში და სკოლაში ბავშვების ადაპტაციას, რათა ისინი იყვნენ ლაღები და კრეატიულები, გაუმკლავდნენ ცვალებად გარემოს, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამები პასუხობდეს მათ ასაკსა და უნარებს და ითვალისწინებდეს ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მოცემული მიზნის მისაღწევად, სტრატეგიის პერიოდში „საქართველოს ბავშვები“ ისახავს შემდეგი ამოცანებისა და მათი შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას:

- განათლების სამინისტროსთან პოლიტიკაზე, კურიკულუმებსა და სტანდარტებზე მუშაობა
- კერძო და საჯარო ბაღებისა და სკოლების მოზიდვა და მომსახურება
- არაფორმალური განათლება

3.1 განათლების სამინისტროსთან პოლიტიკაზე, კურიკულუმებსა და სტანდარტებზე მუშაობა

მოცემული მიზნის მისაღწევად, ორგანიზაცია ამოცანად ისახავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართულობას. ერთის მხრივ, ორგანიზაცია შეძლებს საკუთარი ცოდნით გაამდიდროს და პროფესიული აზრი შეიტანოს პოლიტიკის შემუშავების პროცესში, მეორეს მხრივ კი, წარმოშვას შესაბამისი საფუძველი, რათა გაიზარდოს მოთხოვნა განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგის მომსახურებებზე. სისტემურ დონეზე „საქართველოს ბავშვები“ მონაწილეობას მიიღებს სკოლამდელი განათლების პოლიტიკის განსაზღვრაში. იგი ჩაერთვება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ სამუშაო ჯგუფში, იმუშავებს სამოქმედო გეგმაზე და შეიმუშავებს აუცილებელ მომსახურებათა პაკეტებს სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისათვის, რაც მომავალში დაეხმარება აღმზრდელებსა და მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებაში, ინდივიდზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვაში, ბავშვების ქცევის მართვაში და ა.შ. ასევე, შექმნის საფუძველს ხარისხის მონიტორინგის სისტემის დანერგვისათვის.

ასევე, სამინისტროსთან თანამშრომლობა განხორციელდება მის მიერ ინიცირებულ, განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვებისათვის განათლების ეროვნული მოდელის შექმნაში.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ღონისძიება, რომლის მონაწილეც იქნება „საქართველოს ბავშვები“ ეხება სკოლებში ქცევითი პრობლემების მართვის საკითხს. აქაც ორგანიზაცია სამუშაო ჯგუფს უნიკალურ ცოდნას შესძენს და

გაუზიარებს საკუთარ გამოცდილებას ამ პრობლემების მართვის მიდგომებთან დაკავშირებით.

3.2 კერძო და საჯარო ბალებისა და სკოლების მოზიდვა და მომსახურება

მოცემული ამოცანის განხორციელების შედეგად, კერძო და საჯარო ბალებში დაინერგება თანამედროვე ეფექტური მიდგომები, რაც ხელს შეუწყობს ბავშვების უნარების განვითარებასა და მათ მომზადებას სკოლისათვის, აღმზრდელების პროფესიულ ზრდას, რის შედეგადაც გაუმჯობესდება სააღმზრდელო გარემო. „საქართველოს ბავშვები“ გეგმავს არსებულ კერძო ბალებს შესთავაზოს საკუთარი მომსახურება. კერძო სექტორში მუშაობის ეფექტურობა და ხარისხის გაზრდა კი შექმნის საფუძველს, გაჩნდეს მსგავსი მომსახურების მიმართ ინტერესი და აღიარება სახელმწიფო ბალების მხრიდან. ამ უკანასკნელი გეგმის განსახორციელებლად ორგანიზაცია შეარჩევს საპილოტე ბაღს, სადაც განახორციელებს ჩარევას და ეფექტურობის დემონსტრირებას.

ასევე, მომსახურებათა სპექტრის გაფართოება იგულისხმება კერძო სკოლების ბაზაზე, სადაც ქვევის მართვის ინოვაციური მიდგომები ადმინისტრაციისათვის მნიშვნელოვანი იქნება სკოლის პოპულარიზაციისა და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის. „საქართველოს ბავშვები“ შეარჩევს სკოლებს და მოლაპარაკებისა და საჭიროებაზე დაფუძნებით შესთავაზებს მომსახურების შესაბამის სპექტრს.

3.3 არაფორმალური განათლება

კიდევ ერთი საჭიროება, რომელიც იკვეთება გარემოში და ხელს შეუწყობს ორგანიზაციის მისიის შესრულებასა და მისი მდგრადობის შენარჩუნებას არის არაფორმალური განათლების სფერო. კერძოდ, მზარდი ინტერესი აკადემიური უნარებისა და პიროვნული უნარების განვითარებაზე, რომლის დაკმაყოფილებასაც ორგანიზაცია აპირებს ინდივიდუალური მიდგომებისა და მომსახურების, ასევე ტრენინგების შეთავაზების გზით. ერთის მხრივ, ორგანიზაცია დაეყრდნობა უკვე არსებულ ინტერესს მომხმარებელთა მხრიდან, და მეორეს მხრივ ძალისხმევას მოახმარს დამატებითი კლიენტურის მოზიდვას.

4. ბავშვთა კეთილდღეობა

„საქართველოს ბავშვები“ არაერთი წელია მოღვაწეობს ამ სფეროში და კვლავაც სტრატეგიის პერიოდში ხედავს საკუთარ როლს იმ ბავშვების კეთილდღეობის უზრუნველყოფაში, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვაში, შეიძლება აღმოჩნდნენ ან გადიან სახელმწიფო ზრუნვიდან.

სტრატეგიული გეგმის განხორციელების პერიოდში, ორგანიზაცია მიზნად ისახავს დაეხმაროს სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების ოჯახურ გარემოში აღზრდასა და ხელი შეუწყოს მათთვის მომსახურებათა მრავალფეროვნებასა და ხელმისაწვდომობას.

ამ მიზნის განსახორციელებლად, ორგანიზაცია გეგმავს შემდეგ ამოცანებსა და ღონისძიებებს:

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან პარტნიორობით პოლიტიკის განვითარებაში მონაწილეობა
- სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემაში მომსახურების გაწევა
- მოდელების კონცეფციის შექმნა და განვითარება.

4.1 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან პარტნიორობით პოლიტიკის განვითარებაში მონაწილეობა

„საქართველოს ბავშვები“ მისიასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ორიენტირებულია ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკის განსაზღვრაში შეიტანოს განუზომელი წვლილი. ამ ამოცანაზე მუშაობის შედეგად განისაზღვრება ის ხარვეზები, რომელიც სახელმწიფო სისტემაში არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ზრუნვის საკითხებთან მიმართებაში. ასევე, განისაზღვრება ამ ხარვეზების აღმოფხვრის გზები. პოლიტიკის განვითარების პროცესში, ორგანიზაცია ადრეული განვითარებისა და მინდობით აღზრდის ქვე-პროგრამის ფარგლებში, ითანამშრომლებს კოლეგა ორგანიზაციებთან, რათა შეიქმნას, შემდგომ კი დაინერგოს მომსახურების ერთიანი სტანდარტი და მონიტორინგის მექანიზმი.

4.2 სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემაში მომსახურების გაწევა

სახელმწიფო ქვე-პროგრამის ფარგლებში, ორგანიზაცია განაგრძობს ადრეული განვითარების მომსახურების გაწევას. ამასთანვე, იგი შესთავაზებს მსგავს მომსახურებას სხვადასხვა თვითმართველობასა და კერძო ოჯახებს. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტ ბენეფიციარს მიწოდოს მომსახურება, იმუშავებს პოლიკლინიკებთან, რათა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მათი ოჯახების მოზიდვა.

„საქართველოს ბავშვებს“ აქვს მზაობა უპასუხოს ბიოლოგიური და მიმღები ოჯახების საჭიროებას, რათა აღმოუჩინოს მათ მხარდაჭერა ბავშვის აღზრდის საკითხებთან მიმართებაში. ამისათვის ორგანიზაცია ოჯახებს შესთავაზებს საკონსულტაციო და პრევენცია-რეინტეგრაციის მომსახურებას.

სახელმწიფო ზრუნვის ობიექტებში (მცირე საოჯახო სახლები, მინდობით აღზრდა) მყოფი ბავშვები და მათი მზრუნველები ხშირად საჭიროებენ ფსიქოლოგთა პროფესიულ დახმარებას. იმისათვის, რომ ეს დახმარება ეფექტური და მიზანზე ორიენტირებული იყოს, „საქართველოს ბავშვები“ განახორციელებს საჭიროებათა კვლევას და შემდგომ შეიმუშავებს შესაბამის მომსახურებათა პაკეტებს. ასევე, ორგანიზაცია შეიმუშავებს შესაბამის მეთოდოლოგიას ბავშვების ზრუნვიდან გასვლის პროცესის მოსამზადებლად, რაც ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების განვითარებას.

4.3 მოდელების კონცეფციის შექმნა და განვითარება

წლების მანძილზე ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მოღვაწეობამ „საქართველოს ბავშვებს“ შესძინა პროფესიონალიზმი, ცოდნა, გამოცდილება და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა, იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში იმყოფებიან. „საქართველოს ბავშვები“ საკუთარი ორგანიზაციულ კულტურის შესაბამისად, მზად არის დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება გაუზიაროს ჩართულ და დაინტერესებულ მხარეებს, მოდელირებისა და წვრთნის გზით.

„საქართველოს ბავშვები“ ითანამშრომლებს და დახმარებას გაუწევს იმ ორგანიზაციას, რომელიც დაგეგმავს პალიატიური და საექთნო ზრუნვის ერთეულის შექმნას ღრმა და მძიმე შეზღუდვის მქონე ჩვილებისათვის. ამ პროცესში, ორგანიზაციის სპეციალისტები დაეხმარებიან მსურველ მომსახურების მიმწოდებელს მოდელის აწყობაში და შემდგომ, შესაბამისი პერსონალის წვრთნაში. ასევე, იგი უზრუნველყოფს, მოცემულ მომსახურების მიმწოდებელს, პროფესიონალური საკონსულტაციო მომსახურებით.

კიდევ ერთი ჯგუფი ბავშვების, რომლებზეც „საქართველოს ბავშვები“ წლების მანძილზე ზრუნავდა, არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. ორგანიზაცია აუცილებელ ნაბიჯად თვლის ამ ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებას. ამიტომ იგი მზად არის დანერგოს ახალი მიდგომები ადრეულ ასაკში დამოუკიდებლობის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, რისთვისაც ორგანიზაცია განავითარებს ზრუნვის მოდელს და დაეხმარება შესაბამის მომსახურების მიმწოდებელს, მის დანერგვაში, თანამშრომლების წვრთნისა და შემდგომი კონსულტირების გზით.

5. შიდა ორგანიზაციული პრიორიტეტები

„საქართველოს ბავშვები“ საკუთარი განვითარების გზაზე აღიარებს რა შუალედური სტრატეგიის აუცილებლობას, ასევე, მიიჩნევს, რომ მსგავსი სტრატეგიის წარმატებულად განხორციელებისათვის მან უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის მართვის ეფექტურობა და მდგრადობისათვის აუცილებელი ზომები. ამიტომაც, სტრატეგიული დოკუმენტში ასევე ასახულია შიდა ორგანიზაციული პრიორიტეტები.

ორგანიზაციის განვითარების ამ ეტაპზე და სტრატეგიული მიზნების წარმატებით განხორციელებისათვის ორგანიზაცია მიზნად ისახავს:

- მართვის ეფექტური მექანიზმის დანერგვას;
- ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას;
- ადამიანური რესურსების განვითარებას.

5.1 მართვის ეფექტური მექანიზმის დანერგვა

მართვის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად, „საქართველოს ბავშვების“ მენეჯმენტი, გეგმავს მართვის სისტემის ეფექტური მოდელის დანერგვას. ამისათვის განხორციელდება იმ ბიზნეს პროცესების განსაზღვრა, აღწერა და ანალიზი, რაც საჭიროა ახალი სტრატეგიული გეგმის დასანერგად. ასევე, მოხდება ორგანიზაციის სტრუქტურის ოპტიმიზაცია, რათა მან უპასუხოს მომდევნო ოთხი წლის (სტრატეგიის ვადა) მოთხოვნებს.

ამასთანავე, განხორციელდება შიდა ორგანიზაციული კომუნიკაციის მექანიზმების გამართვა და გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს ფუნქციურ თანამშრომლობას სტრატეგიის დანერგვის პერიოდში. ასევე, დაინერგება ანგარიშვალდებულების მექანიზმებიც.

ვინაიდან, სტრატეგიის თანახმად ორგანიზაციის განვითარება ეფუძნება ხარისხიანი მომსახურებების განვითარების იდეას, მართვის ეფექტურ იარაღად მოიაზრება მომსახურებათა მართვის, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა, რისთვისაც ორგანიზაცია ფორმალურ მიდგომას შეიმუშავებს. სტრატეგიით გათვალისწინებული ამბიციური მიზნების მისაღწევად, „საქართველოს ბავშვები“ გამოიყენებს მარკეტინგულ და საკომუნიკაციო სტრატეგიებს, რათა გაზარდოს საკუთარი გავლენა და დაფარვის ზონა.

5.2. ფინანსური მდგრადობა

ფინანსური მდგრადობის მიღწევა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისათვის მძიმე ამოცანას წარმოადგენს. მოცემული სტრატეგიით

„საქართველოს ბავშვები“ გეგმავს შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდას, რათა ნაწილობრივ მიაღწიოს დამოუკიდებლობას. თუმცა, წინასწარი გათვლებით, მომსახურებათა განვითარების პირველ ეტაპზე დონორულ სახსრებზე დამოკიდებულება მაღალია, რაც დროთა განმავლობაში შემცირდება.

„საქართველოს ბავშვები“ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში გეგმავს საკუთარი თავის განვითარებას, როგორც მაღალი დონის ფსიქოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი. ზოგიერთი სტრატეგიული მიმართულების საქმიანობა ნაცნობია ორგანიზაციისთვის და მისი გეგმა გააფართოვოს დაფარვის ზონა და გააღრმავოს ხარისხისადმი ზოგადად ქვეყანაში არსებული მდგომარეობა. ორი მიმართულება კი ინოვაციურია და ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ ამჟამად იწერება. ამის, გამო ორგანიზაციას სჭირდება დრო და სახსრები, რათა მუშაობა ეგრეთ წოდებულ პილოტ რეჟიმში მოახერხოს. ამისათვის, იგეგმება ინსტიტუციური განვითარების გრანტის მოპოვება, რომელიც ორგანიზაციას ისეთი დარგების განვითარების საშუალებას მისცემს, როგორცაა სასამართლო და იურიდიული ფსიქოლოგია და განვითარებისა და განათლების ფსიქოლოგია. ამასთანავე, გააჩენს სივრცეს პროფესიული ზრდისა და ხარისხის სტანდარტების შემუშავება - დანერგვისთვის.

ამას გარდა ორგანიზაცია შეიმუშავებს, ფინანსური სახსრების მოძიების სტრატეგიას და განსაზღვრავს საფასო პოლიტიკას, რომელიც შემოსავლების გენერირებას შეუწყობს ხელს. ორგანიზაციის მენეჯმენტი აცნობიერებს რა პასუხისმგებლობას, როგორც თანამშრომლების, ისე მომხმარებლების მიმართ, დანერგავს ფინანსური მართვის ეფექტურ მექანიზმებს, ადეკვატურ ბიუჯეტირების პროცესს და შექმნის ფინანსური მდგრადობის ფონდს, რომელიც გარდამავალ, ან დაფინანსების შემცირების პირობებში ორგანიზაციას მისცემს საშუალებას განაგრძოს ფუნქციონირება.

5.3 ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება

ორგანიზაციის ბუნებიდან და მისი საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, იგი მთლიანად ეყრდნობა ადამიანურ რესურსს და მის პროფესიონალიზმს. ამიტომ, ორგანიზაცია ინსტიტუციური განვითარების გზაზე იზრუნებს ადამიანური კაპიტალის შექმნასა და პროფესიონალიზმის ზრდაზე.

„საქართველოს ბავშვების“ მენეჯმენტი შეიმუშავებს სისტემებს, რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსის შერჩევა/დაქირავების მექანიზმს, იზრუნებს მათ განვითარებაზე, ტრენინგებზე და ასევე მათი მუშაობის შეფასებაზე.

ორგანიზაციის მისიიდან გამომდინარე, აუცილებელია განისაზღვროს და დაინერგოს კარიერისა და განვითარების ხელშეწყობის მექანიზმი. ასევე, დადგინდეს პროფესიონალიზმის ხარისხის ზრდის და კონტროლის მექანიზმი.

სტრატეგიული გეგმის განხორციელების გზები დაზოგადი მიდგომა

ორგანიზაცია აცნობიერებს, რომ სტრატეგიული ამოცანების გეგმაზომიერი და ეფექტური განხორციელება, მისი სამომავლო განვითარების საწინდარია. ამისათვის საჭიროა რიგი გამოწვევების და მათთან დაკავშირებული გააზრებული და პროაქტიული მიდგომების ჩამოყალიბება, რომლებიც შესაძლებელს გახდის მოცემული სტრატეგიის შედეგების მიღწევას.

ეს მიდგომები შეეხება შემდეგ საკითხებს:

- გეგმის მართვა და ადმინისტრირება;
- გეგმის ფინანსური უზრუნველყოფა;
- გეგმის განხორციელების მონიტორინგი;

ა) გეგმის მართვა და ადმინისტრირება

სტრატეგიული გეგმის დანერგვა და განხორციელება, როგორც წარმატების საწინდარი, თანამშრომლების მიერ ამ გეგმის გათავისებას საჭიროებს. ამისათვის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა თანამშრომლების ჩართულობას უზრუნველყოფს. ისინი გაეცნობიან დასახულ მიზნებს, ამოცანებს და დაინახავენ საკუთარ როლს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაში.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულება მოითხოვს, როგორც მიმდინარე ბიზნეს პროცესებში ასახვას, კერძოდ თანამშრომლების არსებულ სამუშაო მოვალეობების ფარგლებში მათ განხორციელებას, რიგ შემთხვევებში კი დამატებით განსაზღვრას, ასევე ზოგიერთი ამოცანის, როგორც ცალკე მდგომი პროექტის დანახვას, რომელიც საჭიროებს გუნდურ თანამშრომლობას.

თითოეული ამოცანა საჭიროებს, მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის ნომინირებას, რომლის ვალდებულება პროცესების კოორდინირება და ორგანიზაციის შიდა რესურსის ეფექტური გამოყენებაა.

ორგანიზაციას ესმის, რომ მის წინაშე დგას ორგანიზაციული განვითარების ამოცანები, რომლებიც აისახა სტრატეგიული გეგმის ცალკე მდგომ მიმართულებაში, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მთლიანად გეგმის განხორციელებისათვის. გეგმა ცალკე მდგომი დოკუმენტი არ არის. ის გამოხატავს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის სტრატეგიულ მიდგომას ზოგადად ორგანიზაციის განვითარებისა და მართვის მიმართ. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ამოცანაა ამ მიდგომის ინსტიტუციონალიზაცია, ანუ ასახვა როგორც ორგანიზაციის მოწყობაში, ისე ბიზნეს პროცესებში.

ბ) გეგმის ფინანსური უზრუნველყოფა

მანდატიდან გამომდინარე, ორგანიზაცია შეიმუშავებს რესურსების განაწილების გეგმას. გეგმა გამოავლენს ხარჯებს, რომლებიც, შეიძლება, ორგანიზაციის შიდა ფინანსური წყაროებით დაფინანსდეს. ეს განპირობებული იქნება როგორც ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობით, ასევე ხარჯვის მიზნობრიობით. ყველა დანარჩენი ხარჯი აისახება პროექტში, რასაც ხელს უწყობს გეგმის სტრუქტურა და საფუძვლად დაედება გარე ფინანსირების წყაროების მოზიდვას.

გ) გეგმის განხორციელების მონიტორინგი

ორგანიზაცია უზრუნველყოფს გეგმის შესრულების მონიტორინგს და გარკვეული პერიოდულობით განახორციელებს, კერძოდ კი ექვს თვეში ერთხელ. შედეგად, გადამოწმდება გეგმის მიმდინარეობა და, საჭიროების შემთხვევაში შევა ცვლილებები თვითონ გეგმაში, ან მისი განხორციელების მიდგომებში.

სტრატეგიული გეგმის ოთხ წლიანი ციკლის დასრულების შემდეგ, მიღწეული შედეგების გათვალისწინებით, ორგანიზაცია შეიმუშავებს ახალ სტრატეგიას.